№ 73
კვირა, 4 აპრილი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 73
კვირა, 4 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თავადი ივანე გიორგის ძე და კნეინა სუზანა მავრიკის ასული ჯორჯაძენი**, აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თვისის ასულის

## ელისაბედისას,

სთხოვენ მობრძანდნენ 4 აპრილს, კვირას, დილის 10 საათზედ მოსკოვსკის ქუჩაზედ, ნომერი სახლისა 11, მიცვალებულის გვამის განსვენებაზედ დასასწრებლად ქვაშვეთის ეკკლესიაში. (2—2).

---

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მსახურნი აუწყებენ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლად ნამყოფის

## რ. ს. ჯაჯანაშვილის

ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 4 აპრილს, მეორმოცე დღეს მისის გარდაცვალებისას, წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნება კალოუბნის ეკკლესიაში პანაშვიდი. (1—უ.—1)

---

კვირას, 4 აპრილს, ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქნება ბ-ნ ი. გ. მონადირიშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ

## ქართული სასულიერო კონცერტი

მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ.

გუნდი იგალობებს სხვა-და-სხვა ქართლ-კახურს საეკკლესიო საგალობლებს, დაწერილს ბ-ნ ა. ს. ბენაშვილისაგან.

გუნდში 60 ქალი და ვაჟია.

ბილეთების ფასი 4 მანეთიდგან 1 მანეთამდეა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ კანცელარიაში და სობრანიის მეკარესთა.

(5—უ.—5) დასაწყისი სწორედ საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

---

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**გ. ი. ბაბანასიანცი.** —დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასიევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაშეცტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

---

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—27)

---

## გამგეობა

**ქუთაისის სააგრეშუმო და საფეიქრო ამხანაგობისა**, ამით აუწყებს ამხანაგობის წევრთ, რომ ამა წლის 25 აპრილს, დილის 11 საათზედ, ქ. ქუთაისში საურთიერთო კრედიტის შენობაში დანიშნულია კრება წევრთა, რომელზედაც უნდა იქმნეს განხილული ამხანაგობის საქმის ეხლანდელი ვითარება და მიღებულ იქმნას მისდა განსაკარგებლად შესაფერი ღონისძიებანი.

გამგეობის თავმჯდომარე თ. ზაქრო
(1—ნ.—1) თუმანიშვილი

---

ნოტარიუსის
## ლევან მღებროვის
## კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში—№ 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში.

ტელეფონი № 620. (30—ნ.—27)

---

### მთავრობის განკარგულებანი.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისისავე თხოვნით გორის მაზრის უფროსი, პოლკოვნიკი თავადი ერისთავი.

---

### სვეტი-ცხოვლის ტაძრის განახლების გამო.

ირღვევიან, ალიგვებიან დედამიწის პირისაგან დიდ-დიდებულნი ჩვენნი ტაძარნი, სიწმინდენი, რომელთ ხუროთ-მოძღვრებას, ჩუქურთმა-ქანდაკებას და მხატვრობას განცვიფრებაში მოჰყავდა განათლებულნი ხალხნი. მთელი საქართველო მოდებულია ამ წმინდა ტაძართა ნანგრევებით. „საქართველო ნანგრევთა ქვეყანაა“ საზოგადოდ იტყვიან ხოლმე ჩვენის სამშობლოს შესახებ და ეს სიმართლეს მოკლებულიც არ არის.

ვის არ შეჰზარავს ამგვარი მდგომარეობა ჩვენის ტაძრებისა? ვის უნახავს და გული ბოღმა-ვარამით არ ავსია მათის ნახვით? თქვენ წინ სდგანან დიდებულნი ნაშთნი ქრისტიანობისანი: გაცრცვილნი, პატივახდილნი, შებღალულნი იმ შეუბრალებელის ბარბაროს-მტარვალის ხელით, რომელსაც დროთა-ბრუნვას ეძახიან.

წავა რამდენიმე დრო, დაიქცევიან ისინიც, რომელნიც ჯერ მაგრად სდგანან, როგორადაც დაიქცნენ ბევრნი სხვა ჩვენნი ტაძარნი; წარხდებიან და წაიშლებიან ესენი პირისაგან ქვეყნისა და მათთან ერთად წარხდება და წაიშლება ჩვენი სახსენებელიც ხალხთა შორის, ჩვენი ეროვნული დიდება.

აგერ ეს მესამე წელიწადია ზარივით ისმის ხმა, „მცხეთის საკათალიკოზო ტაძარი ინგრევაო“. დიაღ, ინგრევა და იქცევა „სვეტი-ცხოველი“—ეს ემბაზი ქართველთ საქრისტიანო ერისა, 1500 წლის დიდებული ნაშთი ქრისტიანობისა; მრავალ-საუკუნეთა ქართველთ ერის ციხე-სიმაგრე; კლდე მისის სარწმუნოებისა შორეულს აღმოსავლეთში; ძეგლი მისის ქრისტიანობითის კულტურისა, გემოვნებისა მეცნიერებასა და ხელოვნებაში; უტყვი მოწამე წარსულის მისის დიდებისა და მრავალ საუკუნეთა უბედურებისა.

მერე! მივაქციეთ-კი ყური ამ ჩვენი დედის ძახილს, მისს გულსაკლავ გმინვა-კვნესას? გარდა რამდენისამე ქველ-მოქმედისა *), რომელთაც არ დაიშურეს თავისი წვლილი დედა-ეკკლესიის განახლებისათვის, ეს ზახილი დაშთა „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა“ ჩვენის ქვეყნის მრავალ მკვიდრთათვის, განურჩევლად მათის ეროვნებისა და წოდება-სარწმუნოებისა.

*) ამათ რიცხვს ეკუთვნიან საქართველოში: დიდი მთავარი ალექსანდრე მიხ.ძე—2,000 მ.; მთავარ მართებელი გ.ს.გოლიცინი—3,000 მ. საქ. ექსარხოსი ფლაბიანე—1000 მ.; დავით ზ. სარაჯიშვილი 1000 მ.,—და გ.-სამეგ. ეპ. ალექსანდრე—1500 მ.

---

## ფელეტონი

### სომეხთა მეცნიერნი
და
### ქვათა ღაღადი

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა—მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს“...
რუსთაველი

(შემდეგი *)

IX

„И Камни вопіютъ!.. Камни не лгутъ!.. იძახის გულ-გაფიცხებით ბ-ნი გოლმსტრემი. რა საბუკ-ნაღარო სიტყვებია, რა მაღალ-ფარდებშია ადამიანის გრძნობის სიმთა ჟღერა, რომ ცეცხლ-მოსაკიდებელ აზრს ამ სიტყვებისას გულიც სავსე ჰქონდეს მართალითა და გამოფიტვულს, ჭიანს ნაჭუჭს არ მოასწავებდეს. ასეა თუ ისე, ბ-ნი გოლმსტრემი, ვითომდა მართლა გამწვავებული და გულ-აღტყინებული სიმართლისათვის, გულში ხელს იცემს და გვეფიცება, რომ ღვაწლ-მოსილნი ქვეყნის წინაშე ურარტელნი, ძველის-ძველადვე ღირსებით და სიკეთით სავსენი, სომხები არიან და, მაშასადამე, ძველის-ძველი ისტორიული საბუთი გვეუბნება, რა დიდის ძალ ღონის სულიერად, თუ ხორციელად წარმომადგენელია დღევანდელი სომეხი, ვითარცა სისხლ-ხორცი სახელოვან ურარტელისა. ამ ურარტელების სომხობას ჰღაღადებენ ქვები და ქვები ხომ ტყუილს არ იტყვიანო. ვნახოთ, მართლა ესეა, როგორც ამ შემთხვევაში მოზმანებია ბ-ნს გოლმსტრემს, თუ არა.

ფრანსუა ლენორმანი, რომელიც წინადაც ვახსენეთ და რომელიც დიდად გამოჩენილი და ყველასაგან ცნობილი სწავლულია და მცოდნე ძველად-ძველის ისტორიისა, დიდად სახელ-მოპოებული მკვლევარია იმ გვარს საბუთებისა, რომელსაც წარმოადგენენ ლურსმულნი წარწერანი, ნამეტნავად ასსურულ-ბაბილონურნი, საცა-კი აღმოჩენილან. სწორედ იგი ლურსმულნი წარწერანი ქვებზედ, რომელთაც ბ-ნი გოლმსტრემი აღალადებს სომხებისათვის, განსაკუთრებით გამოძიებულია ამ სახელოვან ლენორმანისაგან.

სწორედ ეს ლენორმანი ამტკიცებს, რომ არმენია გეოგრაფიული სახელწოდებაა (ტერმინია) და არა ეთნოგრაფიული და ეს სახელი პირველად იხსენება ახამენიდების დროს, სახელდობრ, მეშვიდე საუკუნის დასასრულ ქრისტეს წინად. ჯერ სომხების, ესე იგი, ჰაიკების ჭაჭანებაც არ იყოო იმ ადგილებში, რომელთაც კრებულს ასსურული და ადგილისავე ლურსმული წარწერანი სახელს სდებენ „ნაირი“ და ბოლოს „ურარტს“ და ერს, იქ მკვიდრებულს, „ურარტელებს“ ეძახიანო. ჰაიკები, ჰაოსიანები (სომხები) მეექვსე საუკუნის ქრისტეს წინად შემოვიდნენ „ურარტს“ და ლურსმულნი წარწერანი-კი, რომელნიც ურარტელების ამბავს მოგვითხრობენ, ეკუთვნიან უფრო წინანდელს საუკუნოებს. სულ უკანასკნელი წარწერა ეკუთვნის მეცხრე საუკუნეს ქრისტეს წინადო [1]).

აშკარაა, ქრისტეს წინად მეცხრე საუკუნეზე ადრე ამოჭრილი ლურსმული წარწერა ვერ მოგვითხრობდა იმ ერის ამბავს, რომელიც გამოჩნდა მერე თითქმის სამს საუკუნეს შემდეგ. ქვანი ჰღაღადებენ განა, სომეხთა მეცნიერნო! ღაღადით კი ჰღაღადებენ, მაგრამ „სასმენთა კარნი მათთვის გშხობიათ“.

თუნდ ეს მეცხრე საუკუნეც არ იყოს, როცა ქვებმა თავისს გულზე დაიწერეს თვისნი მიუდგომელნი და უტყუარნი ღაღადნი და როცა სომხები არც-კი გამოჩენილან. „ნაირთა“ ქვეყანა, რომელიც მერე ურარტად ცნობილია, ჯერ კიდევ ასსურთა მეფის სალმანასარ პირველის და მერე თიგლათ-პალასარის პირველის დროს არის ხსენებული ლურსმულ წარწერებში და სალმანასარი I მეფობდა მეთოთხმეტე საუკუნეს და თიგლათ-პალასარი I მეთორმეტე საუკუნეს ქრისტეს წინად. [2])

ყოველ ამის შემდეგ საბუთი გვაქვს, თუ არა ვკითხოთ ბ-ნ გოლმსტრემს: იგი ლურსმულნი წარწერანი, იგი ქვები, რომელნიც მოწმად მოჰყავს, რა სასწაულით მოგვითხრობდნენ სომხების ამბავს, როცა მხოლოდ ექვსას-შვიდას და სულ ნაკლებ სამასის წლის მერმედ გამოჩნდნენ სომხები ურარტის ქვეყანაში, საცა ურარტელები უკვე მკვიდრობდნენ და ებრძოდნენ ასსურელთ მთელი ექვსი თუ შვიდი საუკუნე სომხების მოსვლამდე და რომელთაც თუ ღვაწლი რამ მიუძღვით მსოფლიო ისტორიის წინაშე და თუ მაგარი ხასიათი, კულტურა, სულიერი და ხორციელი ძალღონე გამოუჩენიათ, თავისს სასახელოდ გამოუჩენიათ და არა სომხების საქებ-სადიდებლად.

აშკარაა, იგი ლურსმული წარწერანი, რომელთ ღაღადს ვითომც ცეცხლი მოუკიდებია ბ-ნ გოლმსტრემისათვის და რომელნიც, მისისავე

*) იხ. „ივერია“ № 72.

1) იხ. ლენორმანი: ასსირიოლოგიური წერილები, სერია პირველი, წერილი მეორე, გვ. 124—129.

2) იხ. Древности Восточныя и проч. წერილი ბ-ნ ნიკოლსკისა, გვ. 389.

თითქოს ჩვენს შესარცხვენად შორეულ უცხო ხალხთა ყურს უფრო ადრე მისწვდენია ეს ძახილი და ღაღადისი ჩვენის დედა ეკკლესიის გაჭირების შესახებ, ვიდრე ჩვენის, მის კალთის ქვეშ მსხდომ, ერის ყურს. ზოგი ამ პირველთაგანი იხსნის მკლავიდგან ძვირფასს სამაჯურს და ჰგზავნის მცხეთის საკათალიკოზო ეკკლესიის განსაახლებლად, ზოგი უგზავნის კომიტეტს თავის თხზულებებს ამავე საგნისათვის, ზოგი იზოგავს უკანასკნელ ლუკმის ფასს, რათა გაუგზავნოს სვეტი-ცხოველს და სხვ. არიან შემოწირულებანი თვით დამშეულ რუსეთის გუბერნიებიდგან, საიდგანაც ლატაკ-შიშველტიტველნი არ იშურვებენ მისთვის თავისს წვლილსა. უგზავნიან 10 კ. 15 კ., 20 კ., 25 კ., 30 კ., 50 კ. და სხვ., ვისაც, რასაკვირველია, რამდენზედ მიუწვდება ხელი.

ხოლო ჩვენში? ვითა გერნი გულგრილად შევყურებთ ჩვენის დედაეკკლესიის გაუპატიურებას, სიკვდილსაცოცხლოდ ბრძოლას. სამწუხაროდ, ამ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში მოიპოვებიან ისეთნი ბენიერნიცკა, რომელნიც ქვა-ქვაზედაც რომ დადუღდეს, მაინც „ჰარი ჰარალოს“ იმღერიან, დიდების საფეხურზედ ოჩოფეხით ასვლას ჰლამობენ, დროშას აფრიალებენ და იუდისებრ ჰლილინებენ მუდამ „თუ გინდა დაიქცეს ქვეყანა, რა გვენაღვლება ჩვენაო“. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი „კაცის უკეთესი სათავნო ზნეობა-სათნოებააო“.

უკანასკნელ დრომდე მცხეთის საკრებულო ტაძარი, როგორადაც სხვანიც, უზრუნველ იყო განახლების მხრივ ყოველ შემთხვევაში, რადგანაც მას ეკუთვნოდნენ დიდნი ყმა და მამულნი ყოველ საქართველოს კუთხეში, შეწირულნი ქართველთ მეფეთა, დიდებულთა და სამწყსოთაგან. ეს სახსარი ჩვენს ეკკლესიებს სამუდამოდ მოესპო, რაკი საეკლესიო მამულები გარდავიდნენ სახელმწიფო განმგეობაში.

ნეტავ რას ვუცდით, რას ველოდებით, ვის ვამწყრალებთ ჩვენის დედაეკლესიის განახლება აღდგენას? ნუ თუ ისე დავდუხჭირდით, ისე დავკნინდით, იმდენად დავეცით სულითა და ხორცით, რომ ჩვენის საეროვნო დიდების აღდგენაც-კი აღარ შეგვიძლიან. 1500 წლის განმავლობაში არა ერთხელ დაქცეულა ჩვენის სამშობლოს და სარწმუნოების მტერთა ხელით სვეტი-ცხოველი, მაგრამ იგი ფენიქსებრ მუდამ განახლებულა უწინდებურის ბრწყინვალებითა და დიდებაშარავანდედით. თვით მაჰმადიანელმა მეფე როსტომმა საჭიროდ დაინახა განახლება მცხეთის საკრებულო ტაძრისა, რომელიც ჟამთა ვითარებისა გამო დაძველებულ იყო და იქცეოდა. რათა? მისთვის, რომ მისი არ ყოფნა შეუძლებელია.

ეკლესია და სამშობლო, — აი ის ორი წმიდათა-წმიდა, ის ორი სათაყვანებელი საგანი, რომელიც მოეპოვება კაცს ამ ქვეყნიერებაზედ.

როდესაც მძლავრობით და ფლიდობა-ვერაგობით საერო კანონმდებლობასა და მართლ-მსაჯულებას ხელ-პირი ეკვრება; ბოროტება იმარჯვებს და სიმართლე ფეხ-ქვეშ უწმიდურად ითელება, ამ დროს გამოდის ასპარეზზედ ეკლესია, იღებს ხელში სასწორსა და ხმალს და განკვეთს ბიწიერებას საშინელის თავისის სამსჯავროს წინაშე. მის მფლობელობას აქ სამზღვარი არა აქვს: აწმყო, წარსული, მყობადი — ყოველივე მას ემორჩილება, მის უფლებას ემონება.

ერთს დიდს ნაკლულევანებას ეხლანდელის ევროპის განათლებისას შეადგენს ის, რომ აქ ზნეობრივად პიროვნება ადამიანისა ითელება და ეძლევა მსხვერპლად ცუდ ყოფა ქცევას, ბიწიერებას. — დასასრულ სამარცხვინო სიკვდილი მოელის მას ფულის მიერ. თანამედროვე კულტურას შეუმოსავს აქ ავ-ზნიანი ხასიათი ისეთის მძლავრის ცოდნა-ხერხით, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა, დროთა განმავლობაში, ყოვლად შეუძლებელი უნდა გახდეს იმ საშუალებით, რომლითაც ხელთმძღვანელობენ დღეს საერო დაწესებულებანი და კანონმდებლობანი. —

ერთად ერთს საიმედო სახსარს ამ არა სასურველ მოვლენათა საწინააღმდეგოდ წარმოადგენს სარწმუნოება. მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლიან განუნათლოს კაცს ჰკვა გონება, განუწმინდოს და განუსპეტაკოს გული. აი სად იმალება ძალა ეკლესიისა.

ერთს ამისთანა მძლეთა-მძლე ბურჯს ჩვენის ზნეობით აღზრდა-განათლებისათვის შეადგენს სვეტი-ცხოველიც. ამის შერე განა მოგვეტევება ჩვენ მისი დაქცევა ჩვენის უზრუნველობით. დიდად გასაკიცხია ის საზოგადოება, რომელსაც ამისთანა აზრი დაებადება გულში. ყველა წავა და განქრება, მხოლოდ დაშთება ის, რაც უზენაესს სამკვიდრებელს შეადგენს. —

„ბევრნი არ მოიპოვებიან საქრისტიანო ქვეყნებში იმისთანა სიწმინდენი, როგორსაც შეადგენს მცხეთის საკათალიკოზო ტაძარი, იტყვის პროფესორი ბ-ნი ცაგარელი. გარდა თავისს ხავს მოკიდებულის სიძველისა და ისტორიულ სვე-ბედისა, სვეტი-ცხოველს აქვს განსაკუთრებითი მნიშვნელობა და მიმზიდველი ძალა ქართველ კაცის სულისა და გულისათვის. მასთან ერთად დაიწყო ახალი ცხოვრება საქრისტიანო საქართველოს ერმა მეოთხე საუკუნეში, ასე რომ საქართველოს ერის ისტორია არის მთლად ისტორია ქრისტიანობისა საქართველოში მთელის 15 საუკუნის განმავლობაში. სვეტი-ცხოველი არის უტყვი მოწამე საქართველოს ხავსით შემოსილის წარსულისა, დამაკავშირებელი მისის ნამყოსი აწმყოსთან“ და სხ.

დროა მივაქციოთ ყურადღება სვეტი-ცხოველის ასეთს უკიდურესს მდგომარეობას და შევუდგეთ მისის განახლების საქმეს. საჭიროა ღირსეულად, როგორათაც შეეფერება მის სიწმიდეს, მის წმიდა ღვაწლს მამულისა და ერისა მიმართ, განახლდეს შიგნით და გარეთ.

აბრძანდით, საღაროს მხრივ, მაღლა ტაძრის სართულში და მაშინ დარწმუნდებით, თუ რა საშიშს მდგომარეობაში ყოფილა ჩავარდნილი ეს დიდებული შენობა: მაღლიდგან ლომფინით დახურული სართული ჩამოწოლილა ისე, რომ შიში გიტანთ, აი, საცაა ჩამოწვება სახურავი და ქვეშ მომიტანსო. საჭიროა მთლად განთავისუფლდეს ჰერი ქვის სახურავისაგან და სხვა, მსუბუქის, მასალით დაიხუროს.

ღმერთმანი, მართლა, არც ისე ღარიბნი და საწყალნი ვართ, რომ განახლებაც ვერ შევიძლოთ, თუ გულით მოვინდომეთ. მივმართოთ მატიანეს, თუ როგორ იქცევოდნენ ამ შემთხვევაში ჩვენნი წინაპარნი. აი რას ვკითხულობთ:

„1413 წ. მეფე ალექსანდრე შეუდგა სვეტი-ცხოვლის ტაძრის განახლება-გაშენებას. ხოლო რადგანაც ასაშენებელი ბევრი რამ იყო, ამის გამო მთელს სამეფოს გააწერა, ეგრედ წოდებული, „საშენებელი ხარკი“. ყოველს კომლს უნდა გარდაეხადა 50 თეთრი (2 მ. 50 კ.). ამ ხარკს ყოველი ქართველი დიდის ხალისით იხდიდა ვიდრე 1440 წლადმდე და ამ წელს კი მეფემ დაასრულა ყოველი საქმე და ხარკიც ამოკვეთა“.

აი რა ღონისძიებას ჰხმარობდნენ ჩვენი წინაპარნი. მაშ გავიწეროთ ჩვენც, რასაკვირველია, შეძლების დაგვარად ხარჯი სვეტი-ცხოველის განსაახლებლად და შევუდგეთ საქმეს. დღეს, ღვთით, საქართველოში 1,200,000 მკვიდრი მცხოვრებია, მარტო ქართველთ ტომისა.

მცხეთის განმაახლებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ითვლება ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, ყოველგვარს ღონისძიებას ჰხმარობს, რომ როგორმე განაძლიეროს საჭირო თანხა ამ დიდებულის ძეგლის განსაახლებლად, მაგრამ დღემდე ამ აზრით მოგროვილის ფულის ჯამი არ აღემატება 30,000 მან. რამდენად მცირეა ეს მოგროვილი ფული, სჩანს იქიდგან, რომ მცხეთის საკრებულო ტაძრის განსაახლებლად უწმიდესის სინოდის დამტკიცებულის ხარჯთ-აღრიცხვით საჭიროა 20 ათასი თუმანი (200.000 მანათ.), ხოლო მარტო დახურვას უნდა 6 ათასი თუმანი (60,000 მანათი)

სხვათა შორის ერთ ღონის-ძიებათაგანს ამ ტაძრის განახლებისათვის შეადგენს ქართული სასულიერო კონცერტიც, რომელიც შესრულდება დღეს საღამოს ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში ბ-ნ მონადირიშვილის ლოტბარობით. იმედია, რომ ჩვენი ქვეყნის საზოგადოება და კერძოდ ქ. ტფილისისა უყურადღებოდ არ დასტოვებს და მრავლად მობრძანდება მის მოსასმენად. ამით ყურთა-სმენასაც დაიტკბობს, სულსაც დიდ სიკეთეს მოუტანს ამ დიდს მარხვაში და კომიტეტსაც შეძლებას მისცემს დიდებულის სვეტი ცხოველის განახლების საქმეში.

ა. ნატროშვილი

## ახალი ამბავი

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, კვირას, 4 აპრილს, ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქმნება ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ, ბ-ნ ი. გ. მონადირაშვილის ლოტბარობით, ქართული სასულიერო კონცერტი მცხეთის ტაძრის განსაახლებელ ფონდის სასარგებლოდ. გუნდი იგალობებს სხვადა-სხვა საეკკლესიო საგალობლებს, დაწერილს ბ-ნ ა. ს. ბენაშვილისაგან. იმედია, ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ კონცერტს, მით უმეტეს, რომ ვისაცკი მოუსმენია, ყველა ნასიამოვნები დარჩენილა, ისე კარგად არის თურმე გუნდი მომზადებული.

*** გუშინ, 3 აპრილს, სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრის თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით, არჩეულ იქმნენ მესამე რიგის მეხუთე ჯგუფის მსესხებელთა რწმუნებულნი: ს. პ. არღაზიანი, ნ. ნ. სტროევი, ქ. ი. ხაჩატუროვი, გ. დ. რჩეულოვი, დ. გ. გაგლოშვილი, გ. პ. იოსელიანი, ი. ი. ფურცელაძე და კანდიდატად ს. გ. გაბაევი.

*** როგორც ვუწყით, ტფილისის გუბერნიის გამგემ მოსთხოვა ქალაქის მოურავს განმარტება იმისა, თუ რად შეჰქონდა ქალაქს სახაზინო ფული კერძო ბანკებში და ამ ფულისაგან აღებულ სარგებელს რას უშვრებოდა. გუშინ, 4 აპრილს, მოურავმა პასუხი გაუგზავნა. მოურავი ამბობს, რომ არ შემიძლიან მოგიგოთ, რა მიზეზით შეჰქონდათ სახაზინო ფული კერძო ბანკებშიო, რადგანაც ქალაქის საქმეებში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არის, ხოლო ცნობა არ არის უთუოდ, როგორცა ვფიქრობთ, იმიტომ, რომ გამგეობას განზრახვა არა ჰქონდა ესარგებლა ამ ფულის სარგებელით. ამას გარდა, როგორც ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვიდგანაც სჩანს, ქალაქი კერძო ბანკებში შეტანილ ფულის სარგებელს მხოლოდ 4,000 მანეთს იღებდაო. რაც შეეხება იმას, თუ რას უშვრებოდა გამგეობა სახელმწიფო ფულის სარგებელს, მოურავი ამბობს, რომ ის სახელმწიფო ფული, რომელიც ქალაქის კასსაში

---

სიტყვით, მეცხრე საუკუნეზე უგვიანესნი არ არიან, ურარტელების სომხობას საბუთად ვერ გამოადგება და აქაც იმავე ქარაფშუტა მეცნიერებას ვხედავთ, რასაც ყოველთვის, როცა კი სომხებზეა საუბარი სომეხთა ფილოსოფოსების და დელლინგერებისა.

„ფილოლოგიაო, ამბობს ლენორმანი: ეს ალგებრა ენათა-ცოდნის მეცნიერებისა (ლინგვისტიკისა), როგორც მას უწოდებენ, ეს მეტად ძლიერი და მაღალი საშუალება, აღმადგინებელი ძველის ეთნოგრაფიისა, გვიმტკიცებს, რომ პირველნი მემკვიდრენი იმ მიწისა, რომელსაც არმენია ჰქვიან, ქრისტეს წინ მეშვიდე საუკუნის ბოლომდე იყვნენ იმავე ნათესავისა, რომელსაც ეკუთვნიან ქართველები და ზოგიერთი ეხლანდელი ხალხი კავკასიისა. [3]) ეს სწორედ ის ძველნი მემკვიდრენი არიან, რომელთაც დაბადება (ბიბლია X, 3) უწოდებს „თოგორმ“ და რომელთაც არა რიგი ერთობა არა აქვთ სომხებთან, ჰაოსიანთან. ამავე სახელს „თოგორმ“ სდებს არმენიის მკვიდრთა ეზეკიელ (XXVII, 14, XXXVIII, 6) იმ დროს, როცა დიდი ნაწილი ლურსმულ წარწერებისა უკვე ამოჭრილი იყო ქვებზე, იმ წარწერებისა, რომელთაც აქამდის ვანის წარწერებს უწოდებენ“.

ლენორმანი მეტად აშკარად ამტკიცებს, რომ ურარტელნი და ალაროდიელნი ერთი და იგივე სახელწოდებააო. ერთი და იგივეობა ამ ორის სახელწოდებისა არამც თუ მარტო ლენორმანმა დაამტკიცა, არამედ სახელოვანმა ინგლისის მეცნიერმაც რაულსონმა, რომელიც თვით ლენორმანმა ამ შემთხვევაში იმოწმა. ამ იგივეობაზე დააფუძნა ლენორმანმა თავისი დასკვნა, რომ ურარტელების ენა და ლურსმული წარწერანი ალაროდიანულ ენად და წარწერებად უნდა იყვნენ წოდებულნი და არა არმენიულადო. ამ ენას და ერს არ რიგი ნათესაობა არა აქვს სომხურ ენასთან და ერთანაო. რაულსონი ამბობსო, უმატებს ლენორმანი: რომ „ალარუდი“ წარმოადგენს უბრალო ვარიანტს „არარუდი“-სას, რადგანაც ძველი სპარსნი ერთნაირად გამოსთქვამდნენ „ლ“ და „რ“. „არარუდი“-დამ დიდი მანძილი არ არის „არარატამდე“ და აქედგან ასსურელების წარწერებში მოხსენებულა „ურარტამდე“.

ამას ზედ უმატებს ლენორმანი: „ალაროდიელნი (იბერნი) წარმოადგენენ სწორედ იმ ძველს რასსას, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ და რომელსაც დაუტოვებია არმენიის ლურსმული წარწერანი“. ეს იგივეობა ხსენებულ სახელებისა დასახსომია, რადგანაც შემდეგში გამოგვადგება.

„ჩვენის აზრით, ამბობს ლენორმანი: არმენიაში (ბ-ნ გოლმსტრემის მიერ ხსენებულნი ლურსმულნი წარწერანი აქვს სახეში) ნაპოვნ ლურსმულ წარწერათა ენა მეტის-მეტად ემზგავსება ქართულს ენას“... „იმედი მაქვს მომავალში, როდესაც ეხლანდელი ჩემი გამოკვლევა წინ წაიწევს, ბოლომად წარმოვადგინო შეურყეველნი საბუთნი ამ მზგავსებისა. ეხლა-კი წარმოგიდგენთ ერთს შეურყეველს საბუთს, დაფუძნებულს არსებითის სახელის ბრუნვაზედა“.

აქ ლენორმანს ასეთი საოცარი მაგალითები მოჰყავს, რომ ეჭვის მოყვარესაც ეჭვის ხალისს მოუკლავს და ბოლოს უმატებს, დიდებულის ეჟენ ბურნოლფის გამოკვლევა მომეტებულს საბუთს იძლევა, რომ არმენიის ლურსმულს წარწერათა ენა და ქართველებისა ერთი და იგივეაო.

„არმენიის ლურსმულ წარწერათა ენა არა რიგად, არაფრით, დაშორებითაც არა ჰგავს ჰაოსიანთა ენასაო, ამბობს ლენორმანი: იმ ხალხს, რომელსაც გამოუჭრია ეს წარწერანი [4]) და ქრისტეს წინ მეექვსე საუკუნემდე უფლობნია არმენიაში, არა ჰქონია არა რიგი ნათესაობა სომხებთან, ჰაოსიანთან როგორც თავისის შთამომავლობით, ისეც ენით“.

„ჰაოსიანნი შემოვიდნენ არმენიაში ვანის სულ ბოლონდელ წარწერის გამოჭრის შემდეგ, სახელდობრ, იმ დროს, როცა თვით წარწერის გამომჭრელმა ერმა (ურარტელებმა), შესუსტებულმა რამდენისამე საუკუნის განუწყვეტელ ბრძოლით საზარელ ნინევიის (ასსურელთ) და ბაბილონის მფლობელებთან, დაიწია ჩრდილოეთისაკენ, სწორედ იმ ადგილებისაკენ, რომელსაც ძველეთი უწოდდა „ივერიას“ და ეხლა უწოდებენ საქართველოს (Géorgie)“.

ამ სახით ლენორმანის სიტყვით გამოდის, რომ ურარტელების სახელს ტყუილად იჩემებენ სომხები, უწინდელს დიდს არმენიას ტყუილად ჰპადიან თავის პირველ-ყოფილ სამკვი-

[3]) აშკარაა, აქ ლენორმანს სახეში ჰყავს თუშ-ფშავ-ხევსურნი, სვანნი, მეგრელნი, ლაზნი, რადგანაც ყველა ესენი ქართველის ნათესაობისანი არიან. ამას იმ საბუთით ვამბობთ, რომ ამავ წერილში იგი ამტკიცებს, რომ ურარტის ერნი სულ ერთისა და იმავე ნათესაობისანი, ერთისა და იმავე მოდგმისანი იყვნენო და რადგანაც მათ შორის ქართველებს პირდაპირ იხსენიებს, სჩანს, აქ ჰკულისხმობს იმ ეხლანდელ ხალხს კავკასიისას, რომელნიც ქართველ ნათესაობას ეკუთვნიან და არა სხვა მილეთისას, ნამეტნავად სომხებისას, რომელთანაც ურართელებს არავითარი ნათესაობა არა აქვთო.

[4]) გავიხსენოთ, რომ აქ ურართელების მიერ გამოჭრილ ლურსმულ წარწერებზედ ჰლაპარაკობს ლენორმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, სარგებელს არ იძლეოდა, ხოლო იმის სარგებელი, რომელიც კერძო ბანკებში ინახებოდა, ქალაქის საზოგადო შემოსავალს ემატებოდაო.

⁂ დღეს, 4 აპრილს, ტფილისის სას. სემინარიის ეკკლესიაში მწუხრის ლოცვას შეასრულებს ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი, გორის ეპისკოპოსი. მწუხრის ლოცვის გათავების შემდეგ ამავე სემინარიის მასწავლებელი ბ-ნი ილ. ფერაძე წაიკითხავს რუსულს ენაზედ საეკკლესიო საუბარს შემდეგის სათაურით: „წმ. დიდი მოწამე შუშანიკ, რანის დედოფალი“.

⁂ დღეს, 4 აპრილს, საღამოს მწუხრის შემდეგ ქვაშვეთის ეკკლესიაში ჩვეულებრივს საეკკლესიო საუბარს წაიკითხავს ქართულს ენაზედ დიღმის ეკკლესიის მღვდელი მამა იოელ გამრეკელი.

⁂ როგორც თვით აცხადებს, სომხურ გაზეთს „ნორ დარს“ აზრადა აქვს ილია ჭავჭავაძის წერილი „სომხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება ამ ჟამად, სომხურს ენაზედ გადათარგმნოს და დაჰბეჭდოს.

⁂ ხვალ, 5 აპრილს, კრებაზედ, ქალაქის საბჭო დარჩენილ საქმეების გარდა, სხვათა შორის, განიხილავს: გამგეობის მოხსენებას 660 მანეთის სახელმწიფო გარდასახადის გაგზავნის შესახებ სახაზინო პალატაში; ბატონ ტფილისის გუბერნატორის წინადადებას ქალაქის ბეითალის შეინ-ფოგელისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. გამგეობის მოხსენებას ხარებსა, კამეჩებსა და სახედრებზედ გარდასახადის დაწესების შესახებ, შუამდგომლობას ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებისას ალექსანდრეს ბაღში ადგილის დათმობის შესახებ ბავშვთათვის სათამაშო მოედნის გასამართავად და სხვა.

⁂ 22 მარტს პეტერბურგში მისულა შვეიცარიელი მეცნიერი ლეონ-რობერტ ბარუ, რომელსაც აზრადა აქვს ამ ზაფხულს სამეცნიერო აზრით კავკასიაში იმოგზაუროს.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ სახალხო კითხვების კომისიამ სთხოვა ქალაქის საბჭოს საჭირო ფული მოგვეცით ვიყიდოთ 1000 ცალი პუშკინის თხზულებათა კრებულისა და ამდენივე იმის სურათი, რომ 26 მაისს ხალხს დაურიგოთო. ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ, განიხილა-რა, არ შეიწყნარა ეს თხოვნა იმ მიზეზით, რომ თვით ქალაქის გამგეობასა აქვს აზრად შეიძინოს პუშკინის თხზულებათა კრებულები და დაურიგოს ხალხსა და ქალაქის მოსწავლეებსაო.

⁂ ტფილისის გუბერნიის გამგემ მოსთხოვა ტფილისის მაზრის უფროსს ცნობები იმის შესახებ, თუ წელს მაზრაში სად აღმოაჩინეს კალია და რამდენი ფულია საჭირო იმის ამოსაწყვეტადაო.

⁂ ცხენის რკინისგზათა უსახელო საზოგადოების დირექტორმა რობიმ შეიძინა მთაწმინდის გორაზედ ბ-ნთ გაბაშვილისა და პოლტარაცკისაგან 370 დესეტინა მიწა. ბ-ნ რობის აზრადა აქვს იქ გამართოს სასტუმრო, გააშენოს ბაღი, მოაწყოს შადრევანები და სხვა. ყველა ამისათვის საჭირო წყალს სხვა ადგილიდგან აპირობს გაყვანას. ამის გარდა, რობის აზრადა აქვს ამ მთაზედ ასასვლელად და იქიდგან ჩამოსასვლელად ელექტრონის რკინის გზა გაიყვანოს.

⁂ ტფილისის სახაზინო პალატის მოთხოვნილებისა გამო ტფილისის გუბერნიის სამაზრო ადმინისტრაციები შეუდგნენ სოფლებში სახელმწიფო და საერობო გარდასახადების მოკრებას. ამასთან აღმოჩნდა, რომ გორის, დუშეთის და ბორჩალოს მაზრის ზოგიერთ საზოგადოებათ წინანდელ წლების მოუსავლობისა გამო არ შეუძლიანთ თურმე ამ გარდასახადების გასტუმრება.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატას გარდაეცა საქმე შუშის მაზრის უფროსად ნამყოფის პეტრე ბარანოვსკისა და ბოქაულად ნამყოფის იბრაჰიმ-ბეგ გუსეინ-ბეგოვისა, რომელთაც სახელმწიფო ფულის გაფლანგვა და სიყალბის ჩადენა ჰბრალდებათ.

⁂ ქ. ბაქოში აზრადა აქვთ ახალი გაზეთი გამოსცენ, რომელსაც სახელად „Прикасп. Обл.“ ეწოდება. შუამდგომლობა ამ გაზეთის გამოცემის ნება-რთვის შესახებ უკვე აღუძრავთ ნაფიცს ვექილს რაშეტს და ბ-ნ ბეკკენდორფს.

⁂ ჯებრაილის მაზრიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ ამ მაზრის ზოგიერთ ადგილებში კალია გაჩნდაო.

⁂ ქუთაისიდგან სწერენ „ახ. მ.“ს, რომ 31 მარტს, ადგილობრივ სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლედ ნამყოფმა, ამ სკოლიდგან ცუდის ყოფა-ქცევისათვის დათხოვნილმა, გაბუნიამ რევოლვერი ესროლა სამჯერ ინსპექტორს გარსევანიშვილს და ორჯერ აღმზრდელის თანაშემწეს მამფორიასაო. ამ დღეს გაბუნია და მოსწავლედვე ნამყოფი ქიქინაძე მისულან ინსპექტორთან და უთხოვნიათ ისევე მიგვიღეთ სკოლაშიო. როდესაც გარსევანიშვილს უარი უთქვამს, გაბუნიას ამოუღია ჯიბიდგან რევოლვერი და უსროლნია. არც გარსევანიშვილს და არც მამფორიას არც ერთი ტყვია არ მოჰხვედრიათ. ამ საქმის გამოძიებას უკვე შესდგომიან.

⁂ როგორც გაზ. „კავკ.“ იუწყება, ქ. დერბენდში აზრადა აქვთ დააარსონ სასოფლო-სამეურნეო სკოლა. სკოლას ორი განყოფილება ექმნება ბაღოსნობისა და მეღვინეობისა.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის მაზრის სოფ. კოსალოს მცხოვრებთ, რიცხვით 24 კაცს, მიუმართავთ კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის და უთხოვნიათ ნება მოგვეცით ოსმალეთში გადავსახლდეთ სამუდამოდაო.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა გუბერნიის გამგეს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს დადგენილებანი ამორჩევის შესახებ ხმოსნის ა. ა. ივანენკოსი სახელმწიფო გარდასახადის გამწერელ კომისიის წევრად და ხმოს. მ. ს. შახ-პაროხიანცისა საბჭოს თავმჯდომარედ იმ შემთხვევისათვის, როდესაც მოურავს არ შეუძლიან კანონით საბჭოში ითავმჯდომარეოს.

⁂ მკითხველებს ახსომებათ უთუოდ, რომ შარშან რუმინიის ქვეშევრდომმა კონსტანტენმა მოტყუებით გაიტაცა ტფილისიდგან 16 წლის ქალი ანნა შტარკი და ბაქოში წაიყვანა. როდესაც პოლიცია იმათ სადგომზედ მივიდა, როგორც ვიწყით, კონსტანტენმა ძალა დაატანა ანნა შტარკს და საწამლავით თავი მოაკვლევინა. ამ დღეებში ბაქოს ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე, კონსტანტენი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მას 10 წლით კატორღაში გაგზავნა.

⁂ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა აღარ მიიღოს თხოვნები იმათგან, ვისაც ჰსურთ „ნაძალადევში“ იჯარით მიწის ნაჭრები აიღონ.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა დაავალა ბოქაულებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ სატრაქტირო დარჩენილ გარდასახადის მოკრებას, ამასთან დაავალა არავითარი განმარტება და თავის გამართლება არ მიიღონ გარდამხდელთაგან.

⁂ ამას წინად თიონეთის მაზრაში მდინარე ალაზანში დაიხრჩო ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები სტეფანე სილაღაძე. სილაღაძე ნასვამი ყოფილა და ცხენით მდინარეში შესულა.

⁂ გორის მაზრის სოფ. კწისში აზნაურმა უთნელიშვილმა მძიმეთ თავში დასჭრა ამ სოფლის მცხოვრები ტ. ტალიაშვილი.

⁂ 1 აპრილს ექიმმა გძელიშვილმა, რომელიც მიხეილის ქუჩაზედ, № 108 სცხოვრობს, განაცხადა პოლიციაში, რომ ამ დღეს, საღამოს 8 საათზედ, ერთმა შავ წვერიანმა, შუათანა ტანის ახალგაზრდა კაცმა, რომელიც სხვებთან ერთად საექიმოდ იყო ჩემთან, საზაფხულო და საგაზაფხულო პალტოები მომპარაო.

⁂ 1 აპრილს, დილის 11 საათზედ, იარმუკაში, თავად მუხრან-ბატონის სახლში ჰნახეს გვამი ტფილისის მოქალაქის ბაგრატ აბრამოვისა. როგორც ვაჭრებმა განაცხადეს, ამ ბოლოს დროს აბრამოვი ავადმყოფობდა და არც ბინა ჰქონია თურმე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ნოსირი**, (სენაკის მაზრა). აბაშის პოლიციის ბოქაული ბ-ნი ა. გოთოფურიძე თავ-განწირულად იბრძვის ქურდობის მოსასპობლად, მაგრამ ნოსირში ქურდობამ თუ არ იმატა, არ შემცირებულა. აქაური მამასახლისი თავისის მოხელეებით ხან ერთს ქურდს ეცემა თავზედ და ხან მეორეს, და კვალიც მოპარული საქონლისა ზოგიერთ გაუპატრონების სახლში შევიდა, რომელთაც ოქმი შეუდგინა მამასახლისმა, მაგრამ ისინი მაინც არ შეშინდნენ. საქონლის გარდა აქაური ქურდები იპარავენ სიმინდს და ლობიოს.

24 მარტს აქ მოვიდა ბ-ნი ბოქაული, შეჰყარა გლეხები და თავად-აზნაურები და წინადადება მისცა ქურდობის მოსასპობად ღონისძიება რამ ეხმარათ. ხალხმა ხევისთავებად აირჩია რამდენიმე კეთილშობილი. მაგრამ ქურდები მაინც არ ისვენებენ და ღამ-ღამობით სხვის სახლებში ისე დანავარდობენ, თითქოს მათი იყოს. 28 მარტს ისევ მოხდა ყრილობა, რადგან პირველს კრებას ბევრი დააკლდა. ბ-ნი ბოქაული სხვა უფრო მძიმე საქმისა გამო ვერ მოვიდა ამ კრებაზედ. ყრილობას დაესწრო თავად-აზნაურობაც. მამასახლისმა გ. კილასონიამ წინადადება მისცა გლეხებს, რომ დაასახელეთ ქურდი და მავნებელი კაცები, და სამუდამოდ ანუ დროებით გარდაასახლეთ საზოგადოებიდგანაო. ამასთანავე მამასახლისმა განუმარტა კრებას ცირკულიარული მოწერილობა კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინისა, რომ უკეთუ ქურდობა არ მოისპო ნოსირში, გლეხებს ხმა ეკარგებათ ყრილობაზედ და მთავრობისაგან დაინიშნება მამასახლისი, რომელსაც ჯამაგირი უნდა აძლიოს სოფელმა. ყრილობამ მოლაპარაკების შემდეგ, მიხეილ ოდიშარიას მეთაურობით, მამართა თავად-აზნაურობას და სთხოვა, რომ იმათაც დაასახელონ თავისს მხრივ მავნე კაცები. ამ სიტყვებმა დიდი თათბირი გამოიწვია კეთილშობილთა და გლეხთა შორის. ბოლოს გარდასწყვიტეს—ორთავე წოდებამ აირჩიოს ოცი კეთილ სამედო კაცი, რომელნიც უნდა მიემატონ ბოქაულისაგან წინად არჩეულ დარაჯთ, და მიენდოს მათ დაასახელონ ორივ წოდებისაგან მავნე კაცები, რომელთა გადასახლების ნება სხვა ქვეყნებში იმათ მიენიჭოსთ, საზოგადოების დაუკითხავად. დაადგინა-რა სოფელმა ასეთი განაჩენი, წარუდგინა დასამტკიცებლად ბ-ნ ბოქაულს.

ასეთი დადგენილება პირველი მაგა-

---

დროდ და თუ ურარტელების სიკეთე გამოჰყოლია ვისმე მოდგმით და მაგ სიკეთით შესაძლოა ვინმემ თავი მოიწონოს, ესე ყოველი ქართველობის კუთვნილებაა და არა სომხობისა. რაკი ეს ლენორმანის მიერ გამონარკვევი გამომზევდა, სომეხთა მეცნიერთა გაწიწმატებაც ზედ მოჰყვა.

განსვენებული ილია სერებრიაკოვი, პროფესსორი ლაზარევის ინსტიტუტისა ერთს წერილში [5]) ამბობს: „ლენორმანმა არამც თუ გააუქმა ქართველებისა და სომხების ერთშთამომავლობა, თვით სომხეთიც ახმენიდების ხანამდე ჩამოართვა სომხებს და საბოლოოდ დაუმტკიცა ქართველებსა. ამ ამბავმა ისე გააბრაზა პროფესსორი პატკანოვი, რომ მთელი ცამეტი წელიწადი მოსვენებას ველარ მიეღწია და ბოლოს, რაკი უკეთესი ვერა გააწყო-რა, დაჰბეჭდა თავისი ცნობილი ფელეტონი, საცა დიდის ხრიკებით, თვალთ-მაქცობით სხვისი ნამოქმედარი თავისს თავს მიაწერა, შეუცვალა ცნობილ ფაქტებს ფერი და ამითი „ქართლის ცხოვრების“ გაუქმებას ჰლამობდა“.

[5]) იხ. „ივერია“ 1890 წ. № 36.

ამისთანა საქციელი სომეხთა მეცნიერისა რაზე გაჰკვირებია ცხონებულს სერებრიაკოვს. ეს ჭირი არ ახალია,—ძველია სომეხთა სწავლულთათვის. ჩვენ ამისი მაგალითი ბევრი სხვა მოვიყვანეთ ამ წერილში. ჩვენ, ქართველებს, იქნება, მიდგომით ლაპარაკი შეგვწამონ. აბა ეხლა მოვუსმინოთ იმისთანა მოწამეებს, როგორიც ლენორმანი და ჰანრიხ რაულსონია და დავინახავთ, რომ გადასხვაფერება, სხვისა თავისად დაჩემება, აფხეკა და ჩაფხეკა საბუთებისა, გაბათილება სხვისა და სხვის ადგილას თაივანთ თავის გამოჭიმვა და სხვა ამისთანა სიკეთენი მათი ძველის-ძველი უნარია და ძველადვე ამისი ოსტატობა სცოდნიათ.

„ყველა ზემორე საბუთების ძალითო, ამბობს ლენორმანი, იძულებული ვარ გამოვთქვა იგივე, რაც გამოსთქვა ბ-ნმა ჰანრი რაულსონმა: „ურარტის ენას არა აქვს არა რიგი ნათესაობა ეხლანდელ ჰაოსიანთ ენასთან. ჰაოსიანნი გამოვიდნენ ფრიგიიდგან და ნელ-ნელა დაიპყრეს ფრიგიის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობნი, საიდგანაც ძველი ურარტელნი მემკვიდრენი გააძევეს და ზოგი ჩანთქეს და შესცვალეს მათი სახელი, ენა, სარწმუნოება, გარდამოცემანი თვიანთითაო“. შეცვლა სახელისა თავიანთით, ენისა, გარდამოცემისა და სხვა ამისთანისა ძველად-ძველი თვისება და ჩვეულება ყოფილა და ჩვეულება ხომ რჯულთ უმტკიცესიაო. ლენორმანი იმავ წერილში ამბობს, რომ თარგამოსისაგან შთამომავლობა სომხებმა ტყუილად დაიჩემესო. მითამ რა ეხარჯებათ!..

მარტო ლენორმანი არ ამბობს, რომ მთიანი ქვეყანა, რომელსაც ლურსმული წარწერანი ურარტად ასახელებენ, ჯერ კიდევ 721 წელს ქრისტეს წინად სამკვიდრო იყო ქართველებისა და თვით ურარტელნი ქართველის ნათესაობის ერი იყო. მეორე დიდი მცოდნე და მკვლევარი ძველის-ძველის ისტორიისა მასპერო ამბობს: ,,მთიანი ქვეყანა (ურარტი), საიდამაც გამოდიან ტიგრი და ეფრატი, ჯერ კიდევ ასსურელთა მეფის სარგონის დროს (721 წ.) დასახლებული იყო ერთის მოდგმის ერითა, რომელიც მთლად განსხვავებულია ეხლანდელ სომეხთაგან და ეკუთვნის ნათესაობით ქართველებსა. ეს დასკვნა ლენორმანისა სახელ-განთქმულად დამტკიცებულ იქმნა სეისის და გუიარის მეცნიერულ ღვაწლითაო“.[6])

„საიდამ არის ეს ერი (ურარტელნი)—დღეს ეს საგანი ბნელით არის მოცულიო, ამბობს იგივე მასპერო: ზოგი მეცნიერნი ამბობენ, რომ ჩრდილოეთიდამ და აღმოსავლეთიდამ მოსულან და პირველნი დამკვიდრებულან არმენიაში არარატის ძირობაზე, ტიგრისა, ეფრატის და მტკვრის (Кирь, Кура) სათავეების ჩაყოლებაზე და ზოგნი-კი პირველს მათს სამკვიდროს გვაჩვენებენ სამხრეთისაკენ არაბეთის ნახევარ-კუნძულზეო.“ [7])

ამ სახით, ბ-ნ გოლმსტრემის ხმამაღალი და რიხიანი ძახილი: „И Камни вопіютъ!.. Камни не лгутъ“!.. მარტო ცალიერი გაბერილი სიტყვებია და გოდება მისი სომხებისათვის ცარიელი შუშხუნაა, რომლის აპრიალების შემდეგ მარტო ფერფლი და ნატისუსალი-ღა ჰრჩება. გამოდის, რომ თუ კაცს სდომებია, იმისთანა მაგარს და უტყუარს მოწამესაც გადაათქმევინებს სიტყვას, როგორიც ქვაა და ქვათა ღაღადი. სომეხთა მეცნიერს რომ მოსვლოდა ამისთანა ამბავი, კიდევ ჰო. სომეხთა მეცნიერთათვის ესეთი ოინები შეჩვეული ჭირია და ზოგს შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეუჩვეველ ლხინსა. ხოლო საოცარი ეს არის, რომ ასე ექცევა მეცნიერებას, ჭეშმარიტებას იგი კაცი, რომელიც ასე ფიცხად, ასე გულ-მხურვალედ დიდის საყვირით ჰყვირის: „И Камни вопіютъ“!.. Камни не лгутъ‘‘!.. გაგონილა ასე სასაცილოდ აგდება ქვათა ღაღადისა, ქვათა უტყუარობისა! მოდით და ნუ იტყვით:

„ჰე, სოფელო, რა შიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!..

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

[6]) იხ. მასპერო: ძველი ისტორია აღმოსავლეთის ერთა გვ. 431. გამოცემა მე-4.

[7]) იქავ: გვ. 136.

ლითაა სამეგრელოში და ვუსურვებთ ახალ არჩეულ კაცებს გულმოდგინედ და სინდისიერად აღესრულებინოთ თავიანთი მძიმე მოვალეობა.

დამსწრე

# რუსეთი

— პეტერბურგის უნივერსიტეტის შეუძლებელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას აზრადა აქვს შეუდგეს სტუდენტთა ყოფა-მდგომარეობის შესახებ სასტატისტიკო ცნობების შეკრებას.

— როგორც „Кур.“ იუწყება, ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს დააარსოს პეტერბურგში პოლიტეხნიკუმი სამთო, სამექანიკო და სხვა განყოფილებით. სამინისტროს უკვე შეუძენია ადგილი ამ პოლიტეხნიკუმის შენობის ასაგებად. თვით შენობის აგებას ახლო მომავალში შეუდგებიან. როგორც გამოანგარიშებულია, შენობა დაჯდება 700,000 მანეთი. ამ ახალს უმაღლეს სასწავლებელში მიიღებენ საერო განათლების სამინისტროს საშუალო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ გარდა სხვა საშუალო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთაც.

— მთავრობას აზრადა აქვთ საგუბერნიო სამმართველოებში ცვლილებანი შემოიღოს. პროექტი ამ ცვლილებათა უკვე შემუშავებულ იქმნა და წარედგინება სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად შემოდგომაზედ.

# უცხოეთი

**საბერძნეთი.** ჩვენ წინაზედაც გვქონდა მოხსენებული, რომ საბერძნეთის მინისტრ-პრეზიდენტის ზაიმისის დეპუტატად არჩევა კალავრიტში უკანონოდ სცნო პარლამენტის კომისიამო. როგორც ათინიდგან აუწყებენ გაზეთებს, ზაიმისს ბევრი უკანონობა ჩაუდენია, რათა არ გაშავებულიყო არჩევანის დროს, და სწორედ ამიტომ გაუუქმებია კომისიას მისი არჩევა. მაგალითად, ზაიმისი სამსახურიდგან ითხოვდა თურმე თავისს მოწინააღმდეგეთ და მათ ადგილას ნიშნავდა ისეთ კაცებს, რომლების იმედი ჰქონდა; სახელმწიფო ფულებს ფლანგავდა თავისს კერძო ინტერესებისათვის და ამბობდა, რომ საზოგადო საქმეებს ვახმარებ ამ ფულებსო; აგენტებს ჰგზავნიდა აქეთ-იქით, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მისს სასარგებლოდ ელაპარაკნათ; ეს აგენტები სასულიერო წოდების სამოსლით მოდიოდნენ ამომრჩევლებთან, რომელთაც ჯვარსა და სახარებაზედ აფიცებდნენ თურმე, რომ ზაიმისის მხარეს დაჭერე; დასასრულ კიდევ პირდაპირ საარჩევანო აგიტაციაზედ ხარჯავდა თურმე სახელმწიფო ფულებს.

ზაიმისის მომხრეები ამბობენ, რომ კომისიის წევრებად მომეტებულ ნაწილად თეოტოკის მომხრენი იყვნენ და ამიტომ იმ თავითვე ვიცოდით, რომ ზაიმისის სასარგებლოდ არას დაადგენდა იგიო. როგორც ჰფიქრობენ, ზაიმისმა წყება უნდა იმართლოს თავი ბრალდების წინაშე.

**ოსმალეთი.** სერბიის მთავრობამ ხელ-ახლა წარუდგინა ოსმალეთს ნოტა, რომელშიაც განმეორებულია წინანდელი სამი ნოტის შინაარსი. როგორც წინად, ისე ეხლაც იმას სჩივის სერბია, რომ კოსსოვის ვილაიეტში სერბები ისე არიან შევიწროებულნი, რომ მათი მდგომარეობა აუტანელიაო. ამ მიზეზის გამოვე, ნათქვამია ნოტაში, იქაური სერბები იძულებულნი არიან სამშობლო დასტოვონ და სხვა ქვეყნებში ეძიონ ბინა, რაიცა გაჭირვებას აუჩენს ბელგრადის მთავრობასო. ნოტა გადაჭრით თხოულობს, რომ ასეთი უსამართლო მოქმედება კოსსოვის სერბების შესახებ მოისპოს, რისთვისაც განსაკუთრებული კანონების გამოცემა საჭირო არ არის, რადგან სრულებით საკმარისია ოსმალეთის არსებული კანონები.

— დიდი ხანია, რაც გეჯასსა და იემენში შიმშილი მძვინვარებს, მაგრამ ოსმალეთის მთავრობა აქამდის დიდად არ იწუხებდა თავს იმის მოსასპობლად. ეხლა, როგორც იუწყებიან, მცირე აზიის ბევრს ვილაიეტშიაც შემოჰკვლება ხალხს სარჩო, და ისიც ისეთ ვილაიეტებში, რომელნიც საუკეთესო მოსავლიან ადგილებად ითვლება. დამშეული ადგილების მკვიდრნი, რომელნიც არავითარ დახმარებას არ ღებულობენ მთავრობისაგან, დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ თურმე და ადვილი შესაძლებელია, ამბოხებაც მოახდინონ, მთავრობა დროზედ თუ არ მიეშველა მათ. რასა თქმა უნდა, დამშეულ ხალხის მისაშველებლად ფულებია საჭირო, მაგრამ, როგორც უკვე ცნობილია, ფულებით ერთობ ღარიბია ოსმალეთის ხაზინა, მეტადრე მაშინ, როცა ხალხს დახმარება სჭირია.

**ბოლგარია.** გრეკოვისა და რადოსლავოვის სამინისტროს გაცხარებული ებრძვიან სტოილოვისა და ცანკოვის მომხრე გაზეთები. ოპოზიცია აბრალებს მთავრობას, რომ ვითომც საიდუმლოებით ჰქონდეს მოცული უცხო ფირმებთან მოლაპარაკება სესხის აღების შესახებ. აგრეთვე დიდს მასალას წარმოადგენს ოპოზიციისთვის მთავრობის სამზადისი ახალ არჩევანებისათვის და აგრეთვე ისიც, რომ ახალ სამინისტროს მიერ სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნენ ზოგიერთი მოხელენი, რომელთაც სტოილოვის დროს მიიღეს ეს თანამდებობა.

# დაშაკვირდი

მოგეტევების მხოლოდ ნებსით შენანებული ცოდვა და არა უნებლიედ შენანებული.

სულხან საბა

* * *

ვინც მიენდობის სოფელსა,
მას უფრო გაუავდების,
თუ ვინმე დასდებს აგს წესსა,
იმასვე გაუმწარდების.

როსტომიანი

* * *

შუშუტა კაცი ფოლოცს იდგა და ღრიალებდა: „მე ყველაზე ჭკვიანი ვარო!“

ლასურიძე

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

თითქმის ყოველ დღე ქართულ-ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენციებში ჩაიკითხავთ, რომ ამა და ამ სოფელში ხალხი ცრუმორწმუნოებას ძალიან მისდევსო. ჩვენში რომ ცრუმორწმუნოება ძალიან არის გავრცელებული, ეს ყველამ კარგად უწყის, მაგრამ არც განათლებული ქვეყნები ყოფილან ამ სენისაგან თავისუფალი, იქაც ძალიანაა თურმე ცრუ-მორწმუნოება გავრცელებული. ცრუ-მორწმუნეა არა მარტო უბრალო ხალხი, არამედ განათლებულნიც მღვდელნი და, ასე გასინჯეთ, ეპისკოპოსნიც-კი. ექიმმა კაზმა ერთ ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდა წერილი, რომელშიაც რამდენიმე ასეთი ცრუ-მორწმუნოების მაგალითია მოყვანილი. 1893 წელს, იუწყება სხვათა შორის ექიმი კაზი, იტალიის ქალაქ ფლორენციის მახლობლად მდებარე სოფლის ერთმა გლეხმა მიჰმართა მღვდელს და უთხრა, რომ ჩემ ქალს ბნედა სჭირს და წამალი რამე მომეციო. გასინჯა რა ავადმყოფი მღდელმა, გამოუცხადა გლეხს, რომ შენ ქალს ეშმაკი დაჰპატრონებია და მაგის მორჩენა მხოლოდ გამოცდილ მკითხავს შეუძლიანო. ამასთან ერთი მკითხავი დაუსახელა და იმის სახლიც ასწავლა. მკითხავმა უთხრა გლეხს: „წადი სახლში და ბუხარში ცეცხლი დაანთე ვინც პირველი შენ სახლში შემოვა, ის იქმნება შენის შვილის გაგიჟების მიზეზი, ეშმაკი იმის გამოგზავნილი იქმნება, ამიტომ აიღე ის კაცი, შენის ქალის თვალწინ ბუხარში შეაგდე და დასწვიო“. გლეხი სწორედ ისე მოქცეულა, როგორც მკითხავს დაურიგებია. სწორედ იმ დროს, როდესაც ბუხარი გაუხურებია, მთხოვარა შესულა სახლში გლეხს დაუვლია ხელი და მოკიდებულ ბუხარში შეუგდია. იღბალზედ მეზობლებს გაუგონიათ ყვირილი, შევარდნილან ოთახში და ცოცხალ-მკვდარი მთხოვარა ბუხრიდგან გამოუყვანიათ.

ასეთი ამბავი პარიჟის მახლობლად სოფ. ჟივშიაც მომხდარა. ერთი ახალგაზდა ქალი ბნედით ყოფილა ავად. ექიმს გაუსინჯნია და უთქვამს, ავადმყოფს უსასყიდლოდ მოვარჩენო. მაგრამ ამ კეთილ განზრახვას წინ აღდგომია ადგილობრივი მღვდელი, რომელსაც გამოუცხადებია, რომ ქალს ეშმაკები დაეპატრონნენ და შელოცვა უნდაო. ამასთან უთქვამს, რომ მე თვითონ შემიძლიან შეულოცოო. ქალის მშობლებს უფრო მღვდლის სიტყვა დაუჯერებიათ, ვიდრე ექიმისა და მღვდელიც ვერსალის ეპისკოპოსთან წასულა, რათა შელოცვის მოსახდენად ნება-რთვა აეღო. ეპისკოპოსი არამც თუ დათანხმებულა, არამედ დასახმარებლად სხვა მღვდელიც მიუჩენია, სახელდობრ ვერსალის სემინარიის წინამძღვარი. ორივე მღვდელი გულმოდგინეთ შესდგომიან „ეშმაკების განდევნას“. საშინელი დღე დაუყენებიათ თურმე საწყალ ეშმაკებისათვის და სწორედ იმ დროს, როდესაც, როგორც თვით მღვდელს გამოუცხადებიათ, 28 მაცთური-ღა ყოფილა გასადევნი ავადმყოფის სხეულიდგან, ეპისკოპოსის ბრძანება მისვლიათ, დაუყოვნებლივ თავი გაანებოთ შელოცვასაო. თურმე ნუ იტყვით, გაზეთებს როგორღაც შეუტყვიათ ეს ამბავი და ერთი ვაი-უშველებელი აუტეხნიათ; ეპისკოპოს შეჰშინებია და აღუკრძალავს მღვდლებისათვის შელოცვის განგრძობა.

შარშან კატანიაში დაუპატიმრებიათ ერთი ქუჩა-ქუჩა მოსიარულე მემუსიკე, რომელსაც 24 ბავშვი მოუკლავს მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებული ყოფილა, ასეთის საშუალებით მიწაში ჩაფლულ ხაზინას ვიპოვნიო. ისეთი მაგალითებიც ბევრი ყოფილა, რომ ქალი მოუკლავთ და ღვიძლი შეუჭამიათ. ხალხში გავრცელებულია თურმე ის აზრი, რომ ვინც ქალის ღვიძლს შეჭამს, ის ყველაფრის მცოდნე გახდება, იმას ყველაფრის შეძენა შეუძლიანო.

ისლანდიაში ერთს გლეხს ცოლი გაჰხდომია ავად. ვიღასაც უთქვამს, შენი ცოლი ეშმაკებს შეუპყრიათო. გლეხს მაშინვე მიუწვევია მახლობელნი და ნათესავნი ამ საქმის შესახებ სათათბიროდ. ბევრის ლაპარაკის შემდეგ გარდაუწყვეტიათ, ეხლავე შეუდგეთ საქმეს და ეშმაკები გავნდევნოთო. საწყალი ქალი ათასნაირად უწვალებიათ და უტანჯნიათ, შემდეგ რომ მაინც ვერარაფერი გაუწყვიათ, აუღიათ ავადმყოფი, ტახტზედ დაუწვენიათ, [illegible] ნავთი და ცეცხლი წაუკიდნიათ. „[illegible] დაიწვა“,—უთქვამს შემდეგ ამ დრამის ერთ [illegible].

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნაკები: 1, „მოწაფის ჰიგიენა“, თარგმნილი ი. გ—რისა, გამოცემული ა. იმედაშვილის მიერ. წიგნაკში აწერილია რაგვარი მოვლაა საჭირო მოსწავლეთათვის. რუსულ ენაზედ ეს წიგნაკი მოწონებულია სამინისტროს მიერ მოსწავლეთა შორის გასავრცელებლად. წიგნაკი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 30 გვ. და ღირს 3 კაპეიკი.

2. „შოთა რუსთაველი და მისი ცოლი“ (ლეგენდა) ანტონ ფურცელაძისა, გამოც. ს. ჭილაძის მიერ. წინასიტყვაობის გარდა წიგნაკი 16 გვერდს შეიცავს და ღირს ორი შაური.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აპრილი

**ვარშავა.** უნივერსიტეტმა და სამეითალო ინსტიტუტმა ხელის-მოწერა გამართეს პუშკინის სახელობაზედ სტიპენდიების დასაარსებლად.

**პარიჟი.** „ფიგარო“-ში დაბეჭდილია მაიორის ლაუსისა, არხივის გამგის გრიბელენისა და გენერალ ბუადეფრის ჩვენება. ამათ ჩვენებაში ახალი არა არის-რა. გაზეთი გვარწმუნებს, რომ გარდაწყვეტილია—პირის-პირ წარუყენონ როჟე პიკარს, კიუინიეს, პალეოლოგს და მატენსო, და აგრეთვე ისიც, რომ დამატებითი გამოძიება არ მოხდებაო.

**ვაშინგტონი.** სამოას საქმეების გამხილველი კომისია წავიდა სან-ფრანცისკოდგან. ადმირალს ლაუცს ინსტრუქცია გაეგზავნა, ერიდოს უსარგებლო შეტაკებას, სანამ სამი სახელმწიფო არ გადასწყვეტს—რა გზას უნდა დაადგნენ.

**ბერლინი.** რეიხსტაგს მსჯელობა ჰქონდა სამოას საქმეების გამო წარდგენილ შეკითხვის შესახებ; ასეთი შეკითხვა წარადგინა ყველა დასმა, სოციალ-დემოკრატების გარდა. სტატს-სეკრეტარმა ბიულოვმა განაცხადა, რომ გერმანია პატივსა სცემს სხვათა უფლებას, მაგრამ ამავე დროს არავის ნებას არ მისცემს თავისი უფლების და ინტერესების გაქელვისასო, შემდეგ ბიულოვმა აუწყა პალატას, რომ ინგლისმა გარდაწყვეტით შეიწყნარა გერმანიის წინადადება სამოას საქმეების განსახილველად კომისიის დანიშვნის შესახებაო.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. ფონ-ბიულოვმა, ილაპარაკა რა სამოას კუნძულების შესახებ, სთქვა, რომ მთავრობა მტკიცედ ასრულებს ამ კუნძულების შესახებ დადგენილებას, მაგრამ იმათი განწეს-რიგება საჭიროდ მიაჩნიაო. კაუცის შეტაკების შესახებ ფლოტთან არა იციან-რა. გერმანია თხოულობს, რომ ინგლისმა არა დაუშაოს რა დატუსაღებულ გერმანელ პლანტატორებს, თუ კი ისინი დამნაშავენი არ აღმოჩნდებიან. ინგლისი თანხმაა გერმანიის წინადადებას სამოას კომისიის შესახებ. გერმანია შეიწყნარებს მხოლოდ იმ წინადადგენილებას, რომელიც ხელ უხლებლად დაიცავს გერმანიის უფლებას და ინტერესებსო.

3 აპრილი

**პეტერბურგი.** სამთო ინსტიტუტის საბჭო აცხადებს: „ეგზამენებზედ დასასწრებლად, რომელიც 5 აპრილს დაიწყება, სტუდენტებს შეუშვებენ განსაკუთრებულ ბილეთებით. ბილეთებს სტუდენტებს სახლში გაუგზავნიან, ისინი, ვინც ეგზამენებზედ არ გამოცხადდებიან, ინსტიტუტიდგან დათხოვნილ იქმნებიან“.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. საზღვაო ბიუჯეტის განხილვის დროს, სამოქალაქო ლორდმა ადმირალტეისისა აუგუსტს ჩამბერლენმა განაცხადა ვეი-ხაი-ვეის შესახებ, რომ ჩემის აზრით ვეი-ხაი-ვეი ჩინეთში იგივე უნდა გახდეს, რაც ამ ბოლოს დრომდე გიბრალტრი იყო ხმელთა შუა ზღვაშიო.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აპრილი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% [illegible] მომგებიანი [illegible] ფურცელი სახელმწიფო [illegible]-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 219$\frac{1}{4}$ |
| 3$\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 95$\frac{5}{8}$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 100$\frac{3}{4}$ | — „ |
| 4$\frac{1}{2}$% იმავე ბანკისა | — „ | 100 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 19$\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 4$\frac{1}{2}$% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 98 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 286 | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 253$\frac{3}{4}$ |

## წერილი „კვალის“ ხელმძღვანელის მიმართ.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ფარდა აიხადეთო, იძახით. რა გამოვა? ჩემსა და „კვალის“ რედაქციას შუა იმოდენა მანძილია, რომ რო ავიხადო კიდეც ფარდა, სახეს მაინც ვერ გაარჩევთ. ამიტომაც ამ დღეებში ჩემს ფოტოგრაფიულ სურათს გაახლებთ, თან პასპორტსაც მოვაყოლებ. გეინტერესებათ აგრეთვე ჩემის ხელობის შეტყობა. მეტის-მეტი ცნობის-მოყვარე კაცი ყოფილხართ, ბ-ნო ჟორდანია! არ ივარგებს: მალე მოხუცდებით. და ვინაიდგან თქვენი უდროოდ მოხუცება საქართველოსთვის მეტად საზიანო იქნება, ამ სურვილს ვერ დაგიკმაყოფილებთ. თუ მაინცა და მაინც ახირდებით და თქვენსას არ დაიშლით, რა გაეწყობა,—აქაც დაგითმობთ და ფორმულიარსაც გამოგიგზავნით. ხოლო ცოდვა-კი თქვენს კისერზედ იყოს.

თქვენგან იმედ-გაცრუებული მკითხველი

## „ივერიის“ ფოსტა

**ძ. ძ—სი. ი. თ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ჯოჯოხეთელს.** არ დაიბეჭდება.

**ინგილოს.** არ დაიბეჭდება.

**ს. ხ—ვი. ჟ. გ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**მცხეთელს.** არ დაიბეჭდება.

**ედისელს.** იმ საზოგადოებას გაუგზავნეთ, რომლის შესახებაცა სწერთ.

**ს. უდე. ხანვის.** არ დაიბეჭდება.

**მ. პ. ხ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ქალ-ხიდელს.** არ დაიბეჭდება.

**„ჩანგს.“** არ დაიბეჭდება.

Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го апрѣля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.